პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 286 (19727) კვირა, 14 დეკემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ

რეკონსტრუქციას „კუდები" შემორჩა

იყო დრო, როცა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა რიგებში იდგა. განსაკუთრებით სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ ქარხნის მთავარი კონვეიერიდან გადმოდიოდა მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ავტომობილები, რომლებსაც საპატიო ხუთკუთხედი ამშვენებდა.

გავიდა ხანი და ბევრი რამ შეიცვალა საწარმოს ცხოვრებაში. უპირველესად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველ ავტომშენებლებს დიდი პატივი დასდეს: ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომანქანის წარმოების ათვისება მიანდეს. სწორედ ამასთან დაკავშირებით დაიწყო რეკონსტრუქციისა და გაფართოების რთული და მეტად შრომატევადი სამუშაოები, რომელიც 1985 წლის დამდეგისათვის დასრულდა. დასრულდაო ვამბობთ, თორემ მას ბევრი „კუდი" შემორჩა. ეს კი ართულებს საქმეს, აძნელებს ახალი ავტომანქანის გამოშვებას, აქვითებს მის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. არადა, ავტოსაწყვრები ახლა პაერივით სჭირდება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას, სასურსათო სიუხვისა და ბარაქის შექმნას.

როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის 22 სამრეწველო საწარმოდან საავტომობილო ქარხანაც გადადის მომავალი წლიდან პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე. ამასთან დაკავშირებით საავტომობილო ქარხნის გაერთიანების გენერალურ დირექტორს თ. გენაშვილს ესაუბრა გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი დ. გედენიძე.

— როგორია საწარმოს მდგომარეობა პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლის წინ?

სკკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების თაობაზე მიღებული დადგენილების შემდეგ ქარხნის კოლექტივმა სოლიდური მოცულობის სამუშაოები შეასრულა. მომავალი წლის პირველი თანხრიდან სახელმწიფო მიღების შემოღებასთან დაკავშირებით დაიწყო ახსნა-განმარტებითი სამუშაოები. ამ საკითხს მიეძღვნა ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაც. ქარხნის პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის მზადების საკითხთა წრე მოიცავს გამოსაშვებ პროდუქციაზე ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შემოწმებას და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობას. უნდა ითქვას, რომ ქარხანა უზრუნველყოფილია ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით. იმის გამო, რომ „კაზ-4540" ავტომატარიელის მისაბმელის კონსტრუქცია და ტექნოლოგია ნაწილობრივ ცვლილებებს განიცდის, მიმდინარეობს ტექნოლოგიური რუკების გადამუშავება. დღეისათვის მოქმედი ტექნოლოგიური რუკებიდან გადამუშავებულია 87 პროცენტი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ

სათანადო მუშაობა გაწეული წარმოების ტექნოლოგიური აღჭურვილობით უზრუნველყოფისათვის. ბევრი რამ არის დამოკიდებული წარმოების მეტროლოგიურ უზრუნველყოფაზე. ამისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა ათასობით საკონტროლო სამარჯვი, სტენდი და საზომი იარაღი.

— რა ღონისძიებებს ახორციელებთ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის და, რაც მთავარია, როგორია ამ მუშაობის ეფექტიანობა?

ბევრი რამ კეთდება გთვალისწინებული ღონისძიებების განსაზორციელებლად. დამტკიცებული გრაფიკებით მიმდინარეობს ავტომობილების ცალკეული კვანძების საკონტროლო დაშლა-აწყობა, დეტალების, კვანძებისა და ავტომობილების ინსპექციური კონტროლი. ზორცელდება ავტოსაწყვრის „კაზ-4540"-ის ხანგრძლივი გამოცდების დროს გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრასთან დაკავშირებული ღონისძიებები. დიდი მოცულობის სამუშაოები სრულდება კბილნის, ჩარჩოს ბაქნის შედუღება-შეღებვის ტექნოლოგიური პროცესებისა და ავტომატური ხაზების სრულყოფისათვის. საქმიანობას აკონტროლებს ტექნიკურ დირექტორთან ხარისხის საკითხებზე გამართული თათბირი, რომელიც

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-2 ᲒᲒ.).

კანონიერებას ყველა რგოლში უნდა ვიცავდეთ

ᲑᲔᲭᲓᲘᲗᲘ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ-ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ სამრეწველო საწარმოების ზრდის ტემპი, აღინიშნა თათბირზე, საგეგმო ნიშნულის — 104,2 პროცენტის დონეზე იყო. არსებობდა მისი დაჩქარების რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, ვინაიდან გასულ თვეში მთელმა რიგმა დარგებმა და საწარმოებმა შეანელეს მუშაობის ტემპი. 84 ინდუსტრიულმა წარმოებამ ვერ შეასრულა დავალებანი, 150 საწარმომ დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულებანი. მათ შორის არიან რუსთავის მეტალურგიული, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები, მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, სხვადასხვა მრეწველის და სხვა საწარმოები.

დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა სოფლის მეურნეობაში. ნელა, ვიდრე საჭიროა, მიმდინარეობს ბოსტნეულის, ხილის დამზადება. სილოსის ჩადების გეგმა ჩაიფუშა მარნეულის, სიღნაღის, ახმეტის რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებში, რამაც სერიოზული სირთულეები შეუქმნა პირუტყვის გამოზამთრებას.

დარგში დაგროვილი დიდი ნაკლოვანებების ბრალია მშენებელთა სერიოზული ჩამორჩენა. ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებანი რეალიზებულია მხოლოდ 67 პროცენტით, დეკემბერში კი მწყობრში უნდა ჩადგეს ათიათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც უეჭველად გამოიწვევს იერიშობანას. ამას კი მოჰყვება დაბალი ხარისხი.

თათბირის მონაწილეთა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში შექმნილმა ვითარებამ. საქონელბრუნვის გეგმა ვერ შეასრულა სახელმწიფო ვაჭრობის 28 ორგანიზაციიდან 20 ორგანიზაციამ, კოოპერაციული ვაჭრობის 60 ორგანიზაციიდან 48 ორგანიზაციამ.

სამეურნეო საქმიანობაში ჩაფუშვის გამომწვევი მიზეზების ანალიზმა მოელი დამაჯერებლობით ცხადყო — ეს ხდება იქ, სადაც სუსტია ორგანიზებულობა და დისციპლინა, სადაც „გარდაქმნის" ცნება სიტყვიდან საქმედ არ ქცეულა. ასე მოხდა, მაგალითად, აჭარის ინდუსტრიაში, სადაც თერთმეტმა საწარმომ თავი ვერ გაართვა დავალებებს, ტყიბულში, სადაც ამოქმედდა ძირითადი ფონდების მხოლოდ 14 პროცენტი, ბორჯომში, სადაც სამუშაო დროის დანაკარგები თითქმის 70 პროცენტით აღემატება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს, სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

მეთორმეტე ხუთწლედის კარს მომდგარი მეორე წელი თვისებრივად ახალი ეტაპი გახლავს სამეურნეო საქმიანობაში, ექსპერიმენტიდან პრაქტიკად აქცევს მრავალ ეკონომიკურ სიახლეს. და იმაზე, თუ როგორი ბაზაა შექმნილი ამისათვის, დამოკიდებულია მუშაობის საბოლოო შედეგები.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი უნდა გახდეს სახელმწიფო მიღება, რომელზეც ახალი წლიდან უნდა გადავიდეს რესპუბლიკის 22 საწარმო. მაგრამ წუნისათვის ამ საიმედო დაბრკოლების აღმართვის საქმეში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ზოგან გაუგებარ ინერტულობას, უინიციატივობას იჩენენ. ყველგან სათანადო პასუხისმგებლობით როდი შეიგნეს — და ეს სავსებით ეხება ქარხნების „მიკრობრაციას", კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი, რუსთავის ამწესაშენებელი და სხვა ქარხნების კოლექტივებს, — რომ დაჩქარება განუყოფელად არის დაკავშირებული პროდუქციის ხარისხიანობასთან, მაღალ ორგანიზებულობასთან, გამართულ სამეურნეო მექანიზმთან.

არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ არასაუწყებო კონტროლის შემოღება აქა-იქ გაუქმდება ან გადადიდება. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ის, ვინც წარმოებას სახელმწიფო მიღების პირობებში მუშაობისათვის არ ამზადებს, სახელს უტეხს არა მარტო კონტროლის ახალ ფორმას და ვნებას აყენებს კოლექტივისა და საზოგადოების ინტერესებს, არამედ აფერხებს ქარხნის იმ კურსის განხორციელებასაც, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის ხარისხში ძირეული გარდატეხის მოხდენას. ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა ამგვარ ფაქტებს პრინციპული, პოლიტიკური შეფასება უნდა მისცენ, უნდა ეწეოდნენ ორგანიზაციულ განმარტებითს მუშაობას ისე, რომ ყოველი შრომითი კოლექტივი გრძნობდეს პასუხისმგებლობას ხარისხისათვის, ასორტიმენტისათვის და, უწინარეს ყოვლისა, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, სახელშეკრულებო მიწოდების შესრულებისათვის.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ახალ უმნიშვნელოვანეს პირობათა შორის არის სრული სამეურნეო ანგარიში, თვითდაფინანსება, მრავალცვლიანობა. იმისათვის, რომ ისინი პრაქტიკულ ყოველდღიურობად იქცეს, ეფექტიანად მუშაობდეს წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, თითოეულმა ხელმძღვანელმა უნდა გამოიჩინოს დიდი კომპეტენტურობა, ორგანიზატორული უნარი, გამოიცადოს თავისი საქმიანობიდან ფორმალიზმი, არ დაელოდოს ზემოდან კარნახს. და აქ განუზომლად მატყლობს პარტიული ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი.

თათბირმა განსაზღვრა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა უთუო შესრულება. მთგან ძირითადია ადამიანის ფაქტორზე მტკიცედ დაყრდნობა, იმ რეზერვების აქტიური გამოყენება, რომლებიც დაჩქარების უზრუნველყოფენ. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ წინ. ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

12 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ნაჯიბს, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება.

მ. ს. გორბაჩოვმა და ნაჯიბმა მაღალი შეფასება მისცეს სსრ კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის დონეს, რომელიც ემყარება ორი მეზობელი სახელმწიფოს ხანგრძლივ ინტერესებს და შემდგომი ყოველმხრივი განვითარების კარგი პერსპექტივები აქვს.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა მზად არიან ყოველმხრივ ითანამშრომლონ, რათა მიაღწიონ ავღანეთის გარშემო შექმნილი ვითარების პოლიტიკურ მოწესრიგებას ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეებში გარედან შეიარაღებული ჩარევის სრული შეწყვეტისა და მისი გარანტირებული განუახლებლობის საფუძველზე.

საბჭოთა მხარემ მთლიანად დაუჭირა მხარი ავღანეთის ხელმძღვანელობის ეროვნული შერიგების პოლიტიკას.

• • •

ამავე დღეს გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და ნაჯიბის მოლაპარაკება. მან გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, ცხადყო ყველა განხილულ საკითხზე მხარეების შეხედულებათა სრული დამთხვევა.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — ამხანაგები ნ. ი. რიჟკოვი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, ს. ლ. სოკოლოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ა. თ. დობრინინი, სხვა ოფიციალური პირნი; ავღანეთის მხრივ — ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. ა. ქეშთმანდი, სხვა ავღანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

• • •

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კრემლში სადილი გაუმართეს ნაჯიბს.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ჰ. ა. ალიევი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. ელცინი, ს. ლ. სოკოლოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ა. პ. ბირიუკოვა, ა. თ. დობრინინი, მ. ვ. ზიმიანინი, ვ. პ. ნიკონოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა მ. ს. გორბაჩოვმა და ნაჯიბმა სიტყვები წარმოთქვეს, რომლებიც დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

• • •

ნაჯიბმა გვირგვინით შეამკო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი. მან პატივი მიაგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფუძემდებლის, მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ხსოვნას.

პატივი მიაგო რა კაცობრიობის მომავლისათვის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მეორე მსოფლიო ომის წლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ნათელ ხსოვნას, სტუმარმა გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

სტუმარს ახლდნენ ა. თ. დობრინინი, სხვა ოფიციალური პირნი. (ᲡᲐᲥᲓᲘᲡᲘ).

ᲛᲔᲝᲠᲛᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 12 დეკემბერი. (საკდისი). იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის დელეგაცია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. რენოვიცის მეთაურობით დღეს განაგრძობდა ქალაქის გაცნობას.

სტუმრებმა დაათვალიერეს გამოფენა „ინტენსიფიკაცია-90".

იმავე დღეს დელეგაცია შეხვდა გაერთიანება „სვეტლანას" მეშრომელებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ბარის კანდიდატი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ფ. სოლოვიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

შეხვედრაზე გამოვიდა მ. რენოვიცა.

სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის სახელით დელეგაციას გაუმართეს სადილი, რომელზეც ი. ფ. სოლოვიოვმა და მ. რენოვიცამ სიტყვები წარმოთქვეს.

საღამოს დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა. იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

აეროპორტში სტუმრები გააცილეს ი. ფ. სოლოვიოვმა, ვ. ა. მედვედევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲓᲠᲔᲚᲓᲔᲑᲐ

18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვიდან ტაშკენტს გაემგზავრა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნაჯიბი. იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით.

აეროდრომზე ნაჯიბი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. კ. ლიგაჩოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ს. ლ. სოკოლოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. თ. დობრინინმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ქვეყანაში მოგზაურობისას ნაჯიბს ახლავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ნ. დემიჩევი. (ᲡᲐᲥᲓᲘᲡᲘ).

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲪᲚᲘᲡ

ᲐᲪᲘᲒᲔᲑᲐᲡ მომზადებული შეხვდნენ რესპუბლიკის ენერგეტიკოსები. შემოდგომა-ზამთრის პიროდისათვის საგულდაგულო მომზადება დარგის მუშაკებს წელს საშუალებას აძლევს იმოქმედონ პრაქტიკულად შეუფერხებლად, უზრუნველყონ სამრეწველო საწარმოებისათვის, საბინაო-საყოფაცხოვრებო სექტორისათვის დენის სტაბილური მიწოდება.

ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა გადაწყვეტის ოპერატიული ჯგუფის მორიგ სხდომაზე. მისმა მონაწილეებმა განიხილეს საქმის ვითარება სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, ღონიძ გააანალიზეს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზები.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის თბოსადგურები ძირითადად ასრულებენ მათთვის დაკისრებულ ფუნქციებს, მაქსიმალურ სიმძლავრით მუშაობენ. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში ელექტროენერგიის წარმოების მაჩვენებელი 102 პროცენტს აღწევს, ყოველნაირად ცდილობენ რაც შეიძლება სწრაფად გაზარდონ დენის გამომუშავება ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში.

ამავე დროს რთული მდგომარეობა შეიქმნა ჰიდრორესურსებთან დაკავშირებით, ზამთრის წყალმაირობა გვიძღვლეს ყაირათიანად ვხარჯოთ წყალსაცავებში დაგროვილი ტენი, რეზერვად შევინახოთ იგი ელეტროქსელებში პიკადატვირთვის მოსახსნელად. სწორედ ამიტომ ენერგიის ჰიდროელექტროსადგურის ჰიდრავლიკური პოტენციალის შენარჩუნების შეუნელებელი ყურადღება უნდა დაეთმოს.

კვლავ აქტუალურია სათბობისა და ენერგიის ყაირათიანი ხარჯვის ამოცანა. აქ უნდა ავამოქმედოთ ეკონომიის ყველა რეზერვი, აღვკვეთოთ და დავსაჯოთ მფლანგველობა.

სხდომაზე პრინციპული პარტიული შეფასება მიეცა ათასობით კილოვატსაათისა და კალორიის ფლანგვის ფაქტებს. ბოლო ხანს მარტო ენერგოზედამხედველობის სამსახურმა აღმოაჩინა ინდუსტრიაში დენის არარაციონალური ხარჯვის 173 შემთხვევა. 22-ჯერ აღირიცხა ელექტროენერგიის ლიმიტების გადამეტხარჯვა. განსაკუთრებით „თავგამოჩენილთა" შორის არიან ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა, ახალციხის საკონსერვო ქარხანა, მთელი რიგი სხვა საწარმოები. ხარჯვის ლიმიტის დამრღვევ წარმოებათა ხელმძღვანელები მკაცრად გაფრთხილეს, რომ ამგვარი შემთხვევების გამეორება შეუწყნარებელია.

რესპუბლიკაში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა საავტომობილო „საწყავთან დაკავშირებით. ბევრ ადგილას ბენზინის უქონლობის გამო დგანან ავტომობილები, იფუშება სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის გეგმები. ამავე დროს ასეთი მდგომარეობა უმეტეს წილად უყაირათობის შედეგია. მაგალითად, თერთმეტი თვის მანძილზე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც დაუშვეს საწყავ-საპობი მასალების გადამეტხარჯვა, გამოიყენეს თითქმის ნახევარი მილიონი მანეთი ოდენობის საჯარიმო სანქციები, ამოღებულია 36 ათასი ლიტრი სათბობის ტალონები.

ზამთარი მკაცრ გამოცდას მოგვიწყობს. მის წარმატებით ჩაბარებას, ითქვა სხდომაზე, მხოლოდ ისინი შეძლებენ, ვინც გამოირჩევა დაკისრებული საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობით, დისციპლინით, იჩენს ყაირათიანობას მუშაობაში. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ 1987 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ, ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡᲐᲗ ᲠᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1986 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲜᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲡᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ:

ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ პროდუქციის წარმოების მოცულობა 1986 წელთან შედარებით გაიზრდება 15 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 14 პროცენტის ნაცვლად. შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 6 პროცენტით საგეგმო 4,9 პროცენტის ნაცვლად.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა მიაღწევს 97.500 ათას მანეთს — საგეგმოზე 1.500 ათასი მანეთით მეტს.

უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის მოცულობა გაიზრდება 5,5-ჯერ, ხოლო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება — 16 პროცენტით.

ტვირთბრუნვა გაიზრდება 11 პროცენტით, მგზავრების გადაყვანა — 10 პროცენტით, სოფლის სატელეფონო სადგურების ტევადობა — 32 პროცენტით.

გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობა, შრომის ნაყოფიერება გადიდდება 6 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზრდება 12 პროცენტით საგეგმო 10 პროცენტის ნაცვლად. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვა საშუალოდ გაიზრდება 4.100 ტონამდე, ბოსტნეულისა — 2.100 ტონამდე, ყურძნისა — 33.600 ტონამდე, ხილისა — 700 ტონამდე, ხორცისა — 5.700 ტონამდე, რძისა — 4.500 ტონამდე, კვერცხისა — 49.000 ათას ცალამდე, მატყლისა — 286 ტონამდე.

სახოგადოებრივი მეეხოველეობისათვის დამზადდება 52 ათას ტონამდე უხეში საკვები, გეგმის 600 ტონის გადაჭარბებით, სილოსი — 23.800 ტონამდე, 180 ტონის გადაჭარბებით, ბალახის ფხვნილი — 840 ტონამდე, გეგმის 4 ტონის გადაჭარბებით.

წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება 0,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 1 პროცენტით, რენტაბელობა — 2-3 პროცენტით.

მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების 23 პროცენტით გადიდების შედეგად შესრულდება 2,5-ჯერ მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ვიდრე 1986 წელს.

გაფართოვდება მოსწავლეთა და მშრომელთა კვება ცხელი კერძებით.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გაიზრდება 6 პროცენტით.

წლის განმავლობაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები სულ ცოტა 5 დღეს იმუშავებენ სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობაზე, ისტორიული ძეგლების რესტავრაციაზე, ეზოების, სკვერების კეთილმოწყობაზე.

კაპიტალურად შეკეთდება სამედიცინო დაწესებულებები. საექსპლოატაციოდ გადაეცემა 60-საწოლიანი ბავშვთა საავადმყოფო საგარეჯოში და საბაზანო-პოლიკლინიკა კურორტ უჯარმაში, რომელიც ცვლაში მიიღებს 150 ავადმყოფს.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲨᲘ.

კოლექტიური იჯარა აგრომშენის ხარაჩოებზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს უსახავს სოფლის მშენებლებს.

ამ ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სამშენებლო კონვეიერში შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური სტიმულირების ახალი, პროგრესული ფორმების, კერძოდ, კოლექტიური იჯარის დანერგვა, წარმოების სამეურნეო ანგარიშზე თანამიმდევრული გადაყვანა.

„**საქაგრომშენის**“ თავმჯდომარესთან საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. მან ღრმად ჩაგვახედა რესპუბლიკის აგროსამრეწველო მშენებლობის რთულ ლაბირინთებში. ხაზი გაუსვა იმას, რომ გარდაქმნა, დაჩქარება, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა აქედან, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, აგროსამრეწველო კომპლექსშიც აქტუალური, მუდმივად საზრუნავი პრობლემებია.

ამ პრობლემათა გადაწყვეტისათვის ბრძოლა სულ უფრო ძლიერდება ჩვენს რესპუბლიკაში, და მთლიანად შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დასახეს აგროსამრეწველო მშენებლობის დარგში. იგი მიმართულია კოლეგიურობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სამრეწველო-სამეურნეო ორგანიზაციებში კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დაგეგმვის, დაფინანსების, მართვის გაუმჯობესებისაკენ, იმ მეურნეობრივ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა რეალიზაციისაკენ, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე ხელს შეუწყობენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ახლახან გამართულ მეექვსე სესიაზე აღინიშნა, რომ საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად საქართველოში განხორციელდა კაპიტალურ მშენებლობათა ეფექტიანობის გადიდების კონკრეტული ღონისძიებები, გაიზარდა კაპიტალური მშენებლობის მოცულობა. მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და განახლებისათვის თვისებულია 20 პროცენტით მეტი სახსრები, ვიდრე 1985 წლის ანალოგიურ პერიოდში. შესრულებულია სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები, მიმდინარეობს გარდაქმნის, დაჩქარების ახალი, ეფექტიანი საშუალებების გამონახვისა და დანერგვის ინტენსიური პროცესი.

რა კითდება ამ მხრივ სახაგრომრეწვის რესპუბლიკურ სახელმწიფო-კოოპერაციული მშენებლობის დაერთიანება „საქაგრომშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებსა და ქვეგანაყოფებში?

აგროსამრეწველო კომპლექსში შეეშვებულია და მოქმედებს კაპიტალური მშენებლობის ერთიანი სისტემა. ეს საშუალებას იძლევა ერთი მთლიანი ჯაჭვით წარმართოს ინვესტიციური ციკლი, ანუ დაეგეგმვა, დაპროექტება, კომპლექტაცია, სამშენებლო-სამონტაჟო თუ ასამშვავებელ-გამართვითი სამუშაოები საერთო ძალით შესრულდეს, ობიექტება, საწარმოო სიმძლავრეები საექსპლოატაციოდ გადაეცეს „გასაღების ჩაბარებით“.

ეს რთული პროცესია. მისი მიღწევა ბევრი საკითხის წინასწარ მოგვარებას მოითხოვს. ამიტომაც სავსებით კანონიერად უნდა ჩაითვალოს, როცა „საქაგრომშენის“ ხელმძღვანელობამ თავდადვე პრინციპულად დააყენა საკითხი, რომ დაპროექტების, მოწყობილობების, სპეციალიზაციისა და ანალოგიურ-ობიექტების კომპლექტაციის ფუნქციები სამშენებლო ორგანიზაციებს გადასცემოდა, შექმნილიყო საპროექტო-სამშენებლო გაერთიანებები. და ახლა, უთუოდ, წინგადადგმული ნაბიჯია ის, რომ მარნეულის სახლთსაშენებელი კომბინატის ბაზაზე იქმნება „საქაგრომშენის“ სისტემაში პირველი ასეთი საპროექტო-სამშენებლო კომბინატი.

მაგრამ კაპიტალური მშენებლობის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და დაჩქარების კურსი, რომელსაც პარტია აბორკიელებს, გლობალურ, ნოვატორულ მიდგომას მოითხოვს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს ერთობლივ დადგენილებაში შრომის ანაზღაურების სისტემებისა და მატერიალური სტიმულირების ორგანიზაციის სრულყოფის შესახებ ნათქვამია, რომ მეთორმეტე ხუთწლედში „უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც გაძლიერებს შრომითი კოლექტივების ეკონომიკურ დაინტერესებას მშენებარე ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეების დროული ამოქმედებით, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარებას, ხარისხის ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად, სხვა ფაქტორებთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური სტიმულირების ახალი ფორმების შემოღება, კოლექტიური იჯარის მტკიცედ დანერგვა.

კოლექტიური იჯარა სოციალისტური შრომის ისეთი ახალი ფორმაა, რომელზეც უნდა გადავიყვანოთ არა მარტო მოძრავი მექანიზებული კოლონები და მათთან გათანაბრებული ქვეგანაყოფები, არამედ მსხვილი სტრუქტურული ორგანიზაციებიც — ტრესტები, გაერთიანებები.

„საქაგრომშენის“ სისტემაში დღეისათვის თითზე ჩამოსათვლელი სამშენებლო ორგანიზაციებია გადაყვანილი კოლექტიურ იჯარაზე. მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელს უწყების ტრესტებიდან კოლექტიურ იჯარაზე გადავა თითო მძრავი მექანიზებული კოლონა და თითო სამრეწველო ქვეგანაყოფი. 1990 წლისათვის ნოველთა გამოცდილება. თუმცა ჯანდარელებს ბოლო წლებში ერგვარი წარმატებები აქვთ, ინტენსიურად ვითარდება მეცხოველეობა, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება ხომ ერთ ადგილზე ტკეპნას ნიშნავს?

ჯანდარის კომპლექსის მშრომელები, სპეციალისტები ბოლო წლებში სათანადო ყურადღებას უთმობენ პროდუქტების ინტენსიურ წარმოებას, — თქვა კომპლექსის დირექტორმა ვაჟა ბებიაშვილმა, — იაფი ხორცი და რძე რომ ვაწარმოოთ, საჭიროა გავაიაფოთ საკვები, გავუმჯობესოთ მისი ხარისხი. ამისათვის 4.200 ჰექტარზე მრავალწლოვან ბალახებს, მათ შორის 3.000 ჰექტარამდე იონჯას ვთესავთ. სარწყავში ჰექტარზე 500 ცენტნერ მწვანე მასას ვიღებთ. საკვების წარმოების გადიდებასა და გაიაფებას, ძირითადად შრომის იჯარული მეთოდით ვაღწევთ. 23 ბრიგადაა გადასული ანაზღაურების საიჯარო ფორმაზე; ისინი ხელფასს საბოლოო შედეგის მიხედვით იღებენ. გაუმჯობესდა მექანიზაციის დონე, რამაც ძირეული გარდატეხა მოახდინა საკვების წარმოებაში.

ავიღოთ პირუტყვის შენახვის პროგრესული—დაუბმელი მეთოდი. მისი არსი ის არის, რომ თითოეულ პირუტყვს გამოყოფილი აქვს სეზონში ორას კვადრატულ მეტრამდე საკვები მინდორი, შემოდგომის ბოლომდე პირუტყვი სათვალთვალოა. ყოველივე ამან სათანადო ნაყოფი გამოიღო, იმატა პირუტყვის სულადობამ და ხორცის, რძის წარმოებამ. თუ წინათ წელიწადში 1200 ტონაზე მეტ ხორცს ვერ ვაწარმოებდით, ახლა 11 თვის დავალება გადამეტებით შევასრულეთ და წელს 3600 ტონა ვაწარმოეთ. ამას ინტენსიური კვებით მივაღწიეთ. სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ერთი სული საქონლის წონამ შარშანდელთან შედარებით 80-100 კილოგრამით მიიმატა, დღე-ღამეში თითო გასასუქებელი პირუტყვი 600 გრამით მატულობს, ზოგიერთი ჯგუფში კი მატება 700 გრამს აღწევს, ცენტნერ ხორცის წარმოებისათვის იხარჯება 9-10 საკვები ერთეული. წინა წლებში ცენტნერი ხორცის თვითღირებულება 560 მანეთსაც აღწევდა. ახლა ცენტნერი ხორცის თვითღირებულება 208 მანეთია და საგეგმისთან შედარებით 25 მანეთით შემცირდა. უკვე თავი დავაღწიეთ ზარალს და ყოველ საფინანსო-სამეურნეო წელს ორი მილიონი მანეთის მოგებით ვამთავრებთ. ამასთან სამჯერ მოიმატა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასმა.

როგორც აღვნიშნე, პირუტყვის საკვების გაიაფებამ პროდუქციაც გააიაფა. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1981 წლის დამდეგს, უნგრელი სპეციალისტების რეკომენდაციით, ავაშენეთ ახალი ფერმა-რეპროდუქტორი 1.000 სული ფურისა-თვის და შემოვიყვანეთ „კოსტრომული“ ჯიშის ფურები.

მიღწეული შედეგების მიუხედავად მეურნეობაში რეზერვები და გადაუწყვეტელი პრობლემები ჯერ კიდევ საკმაოდ არის, რომელთა ამოქმედება და გადაწყვეტა 30 პროცენტით გაზრდის საკვები კულტურების მოსავლიანობას. ეს კი საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ და სახელმწიფოს დამატებით მივყიდოთ 1.000 ტონამდე ხორცი.

რამდენიმე სიტყვით პრობლემებზე:

მეტი და ყუთაიანი საკვების მისაღებად ჯანდარელებს რწყვის პრობლემა აწუხებთ. წყალი არ ყოფნით. ურწყავში კი (ასეთი ფართობი დიდია) საკვები კულტურების მოსავლიანობა მცირეა. ამის მიზეზი ის არის, რომ სამგორის სარწყავი სისტემის ქვემო მაგისტრალურ არხზე ჯანდარის სატუმბი სადგური მოაწყეს და მათი მიწების გარდა უდაბნოს მეურნეობის 4.000 ჰექტარიც „გასარწყავდა“. სადგური კი ჩართეს, მაგრამ ამ რაოდენობის მიწას ვერ რწყავს. ასე რომ, მიწა სარწყავად ეთვლებათ. წყალი კი არ არის. რა ხდება? აი რა: მშენებლებმა ჯერ კიდევ ვერ დაამთავრეს მდინარე მტკვარზე ქ. რუსთავთან სათავე ნაგებობის მშენებლობა და ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ქვემო მაგისტრალური არხის რეკონსტრუქცია, საიდანაც პროექტით უდაბნოს მეურნეობას დამატებით წამში უნდა მიეღო 3 კუბური მეტრი წყალი. „საქმიდროენერგომშენმა“ და „საქმთავარწყალშენმა“ რწყვის მომავალი სეზონისათვის როგორმე უნდა დაამთავრონ ამ ობიექტების მშენებლობა, თორემ ჯანდარელებს კვლავ გაუჭირდებათ.

კიდევ ერთი პრობლემა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ოთხი წლის წინანდელი დადგენილებით 1983 წელს გასასუქებელი მოედნების გასაფართოებლად დამატებით უნდა აშენებულიყო 7 შენობა 2.100 სული საქონლისათვის. მშენებლობა დღესაც დასამთავრებელია. მოედნებზე ადგილების უქონლობის გამო, ზოგჯერ ზრდადაუმთავრებელ მაღალ კონდიციამდე მიუღწეველ საქონელს აბარებენ, რის გამოც მცირდება სახელმწიფოსათვის ჩაბარებული საქონლის საშუალო წონა. თითოეულ სულზე კარგავენ 30, ზოგჯერ 40 კილოგრამ ხორცს.

სხვა რამეც აწუხებს კომპლექსის ხელმძღვანელებს. ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ ოთხი წლის წინანდელი დადგენილებით ქართლის რაიონების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ყოველწლიურად კომპლექსს უნდა გადასცენ 18.000 სულზე მეტი ჯანმრთელი ხბო. ასეა? არა, მოლად ასე არ არის. ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობა ჯიშიან ჯანსაღ მოზარდს თავისთვის იტოვებს, ხოლო დაკნინებულსა და დაავადებულს კომპლექსს სთავაზობენ, რომლის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბრუცელოზით ავადმყოფ ფურებს ბოლო ოთხ წელიწადში

ფაქტები • მოვლენები
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ტიხონოვის დაბადების 90 წლისთავისათვის

გამოჩენილი საბჭოთა პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ტიხონოვის სახელი საყვარელი და ძვირფასია საქართველოში. კომუნისტი ხელოვნის შემოქმედება განუყოფელია ჩვენი რესპუბლიკისაგან, რომელსაც მან მიუძღვნა ბევრი ამაღელვებელი სტრიქონი, ლექსებისა და მოთხრობების ციკლები, რომლებიც ჭეშმარიტად ამშვენებენ თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურას. ნიკოლოზ ტიხონოვი ჩვენი დროის ერთ-ერთი პირველი რუსი პოეტი იყო, რომელმაც ღირსეულად განაგრძო თავისი სახელოვანი წინამორბედების ტრადიციები და საბჭოთა მრავალეროვან მკითხველს გააცნო საქართველო, თარგმნა როგორც კლასიკის ნიმუშები, ისე თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები. სწორედ მას ეკუთვნის სიტყვები: „არიან სხვა ქვეყნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობით აღსავსე ქვეყნები... ევროპაში ერთი ამ ქვეყანათაგანი, რომელიც ევროპელის შეგნებისათვის აღსავსეა განსაკუთრებული აზრით, მე რომ მკითხოთ, იტალიაა. რუსი პოეტებისათვის ჩვენს იტალიად უთუოდ იქცა საქართველო“. კეთილი, გულითადი სიტყვებია. ამაღლებულად და გულწრფელად უმღერა საქართველოს ნიკოლოზ ტიხონოვმა, რომელსაც ოვით ჩვენმა ეპოქამ მიანიჭა უფლება შეექმნა ... კავშირები, თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით შეეერთებინა მთელი ათწლეულებ

მისი 90 წლისთავის ინ საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს — ნიკოლოზ ტიხონოვის მეგობარსა და თანამებრძოლს, გაეზიარებინა მოგონებანი ამ გამოჩენილი ხელოვნის, ბრძენი ოსტატის, საქართველოს ნამდვილი მეგობრის შესახებ.

„ჩვენს გულთა შორის გადებულ ამ ხიდს...“



— **ნახევარ** საუკუნეზე მეტი ხნის წინათ შეეხვედით ერთმანეთს — საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის წინ მაქსიმ გორკის ინიციატივით მოკავშირე რესპუბლიკებში მიავლინეს წამყვან ლიტერატორთა ბრიგადები, რათა გასცნობოდნენ მოძმე ლიტერატურების მიღწევებს და ფართო პოპულარიზაცია გაეწიათ მათთვის. „ქართულ“ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი პოეტი, „ორდისა“ და „ბრაგის“ ავტორი ნიკოლოზ ტიხონოვი. ასე დაადგა მან მაშინ ფეხი ჩვენს მიწაზე, დაადგა, როგორც ცოდნისმოყვარე ადამიანმა, ხოლო გაგეგოთხოვა მას, როგორც პოეტი: „აქ ყველაფერი ისე მეცნობა, თითქოს აქ ვიყო დაბადებული“. — დაწერა მან მოგვიანებით.

ნიკოლოზ ტიხონოვს სამუდამოდ შეუყვარდა ქართული პოეზია, შეუყვარდა ქართველი პოეტები, ძმად შეეფიცა მათ. მას დიდი მეგობრობა ჰქონდა სანდრო შანშიაშვილთან, გიორგი ლეონიძესთან, რომელმაც ხატვნად უწოდა მას „რუსული პოეზიის ავთანდილი“, სხვა ქართველ ლიტერატორებთან.

დღეს, როცა გონების თვალს ვაკვლებ ჩვენი პირველი შეხვედრიდან განვლილ ხუთ ათწლეულს, განსაკუთრებით მწვავედ ვგრძნობ ჩვენს ღრმა სისწლითა და შრომით შედეგიანებულ ძმობას. ის, რაც ნიკოლოზ ტიხონოვმა გააკეთა რუსული და ქართული კულტურების ძმობის განმტკიცებისათვის, გმირობაა. ძალიან ცოტა მთარგმნელმა შეძლო ეპოეა ქართული პოეტური სიტყვის უკეთესი რუსული ეკვივალენტები. მან შეძლო ეს შეესრულებინა უმაღლეს დონეზე. გამოჩენილი რუსი პოეტი იყო ჩინებული რუსთველოლოგიც, რომელმაც უდიდესი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ ჩვენი სიამაყე შოთა რუსთველი შესულიყო მსოფლიო დიდების პანთეონში და სათანადო ადგილი დაემკვიდრებინა მსოფლიო სულიერი კულტურის ისტორიაში. მისი შთაგონებული შრომა ღირსეულად აღინიშნა საქართველოს უმაღლესი ეროვნული პრემიით — რუსთაველის სახელობის პრემიით.

მე ყოველთვის უდიდეს შემოქმედებითს სიამოვნებას მგვრის ნიკოლოზ ტიხონოვის — ნამდვილი პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის ბრძნული და ღრმა შინაარსიანი პოეზია. აი ამ დღეებშიც მესმის ალაზნის ველის, მარადიული ახალგაზრდობის მარადიული წყლის შესახებ მისი სტრიქონების მუსიკა:

„მოველ, ვიხილე ალაზნის
ველი,
მა, ალაზანი ჩემს თვალწინ
ელავს,
ჭაღარა, როგორც თქმულება
ძველი
და ახალგაზრდა, როგორც
სიმღერა...“

— და თითქოს ვხედავ მის ავტორს, კეთილს, გულუხვს, პოეტურ ალაზანზე ამბობს ასეთ ლექსებს, მესმის მისი ხმა: „მოველ, ვიხილე ალაზნის ველი...“

დედამიწაზეა მისი ადგილი, ჩვენთან და იმათთან ერთად, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა...

● ნიგერია

დამთავრდა მშვიდობის ესტაფეტა

ლაგოსი. ნიგერიის მიწაწყალზე დამთავრდა მშვიდობის ჩირაღდნის მსვლელობა. საერთაშორისო „მშვიდობის ესტაფეტით“ ჩამოტანილი ცეცხლისაგან დედაქალაქში ანთებულმა ჩირაღდანმა მოიარა სამი შტატი — ლაგოსი, კადუნა და რივერსი. ნიგერიის ძირითადი ეროვნებანი — იორუბა, ჰაუსა და იბო, რომლებიც ამ რაიონებში ცხოვრობენ, ესტაფეტას შეხვდნენ მასობრივი მანიფესტაციებით ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად. მანიფესტაციები გაიმართა დევიზით: „ნუ გადაეწურავთ მსოფლიოს მშვიდობის იმედს!“ ასმოლოინიანი ნიგერიელი ხალხის წარმომადგენლებმა მოითხოვეს შეწყდეს გამალებული შეიარაღება და რესურსები, რომლებიც შეიარაღებისათვის იხარჯება, მოხმარდეს კაცობრობის მშვიდობიან განვითარებასა და პროგრესს. მილიონ ნაირზე მეტი შეაგროვა ნიგერიის ესტაფეტის კომიტეტმა იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ქვეყანაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის პროგრამების განხორციელებას.

12 დეკემბერს საღამოს მშვიდობის ჩირაღდანი შტატებიდან ლაგოსში დაბრუნდა. ცენტრალური მოედანზე გაიმართა საერთაშორისო „მშვიდობის ესტაფეტის“ დასრულების ცერემონია. ნიგერიის მსახიობთა საუკეთესო კოლექტივები მონაწილეობდნენ მშვიდობისა და სოლიდარობის დასკვნით კონცერტში.

„დაშინების სტრატეგიის“ სულისკვეთებით

ბრიუსელი. აქ დამთავრდა ნატოს საბჭოს სესია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. მან ცხადყო, რომ ატლანტიკელი როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე დასავლეთ ევროპაშიც, შეშინებული არიან იმით, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრის შედეგად გაჩნდა ყველა სახეობის ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პერსპექტივა, და ცდილობენ ყოველი ღონე იხმარონ, რათა შეინარჩუნონ თავიანთი ბირთვული არსენალები.

სესიის შედეგების გამო გავრცელებულ საბოლოო კომუნიკეში ნათქვამია, რომ ნატოელი პარტნიორები „ერთგულობენ“ განიარაღებას, აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას. მაგრამ მათი პრაქტიკული საქმეები საპირისპიროს მოწმობს. მაგალითად, ნატოს საბჭომ მხარი დაუჭირა ბირთვული იარაღის გამოყენებაზე დამყარებული თავიდან აღორძინდელი „დაშინების სტრატეგიის“ შენარჩუნებას. ბლოკის 16 ქვეყანამ სესიის დროს გამოაცხადა, რომ განზრახული აქვთ განაგრძონ დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება ზუსტად პენტაგონის მიერ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად. ატლანტისტებმა ცხადყვეს აგრეთვე, რომ არ სურთ განიხილონ განიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირის ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა ერთიანი პაკეტი, რომლებიც მან რეიკიავიკში წამოაყენა ყველა ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაციის მიზნით. ნატოს ქვეყნების საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ რეიკიავიკი „დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობაში“, და ცდილობენ ამავე დროს თავი აარიდონ მის მთავარ შედეგებს — ეფექტიან ბირთვულ განიარაღებას მიმდინარე სუკუნის დამლევამდე.

დამთავრდა ნატოს საბჭოს სესია

▼▼

უურადღებას იპყრობს ის, რომ ნატოს საბჭოს ახლანდელი სესია მიმდინარეობდა ბლოკის წევრ პარტნიორებს შორის სერიოზული წინააღმდეგობების ვითარებაში, რაც საბოლოო კომუნიკეშიც აისახა. საბერძნეთმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება ნატოს პოზიციას ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხებში. მთელი რიგი შენიშვნები დაურთო კომუნიკეს საფრანგეთმაც.

სესიაზე სერიოზულად გააკრიტიკეს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა. როგორც პრესკონფერენციაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა ლორდ კარინგტონმა აღიარა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს არაერთგზის განუცხადეს: მოკავშირენი გამოთქვამენ წუხილს, რომ ვაშინგტონი გადუდგა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების მეორე ხელშეკრულებას. გარდა ამისა, როგორც ბელგიის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, ჯ. შულცმა ვერა და ვერ მოიპოვა მოკავშირეთა მხარდაჭერა სკანდალში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ატყდა „ირანჰეიტის“ გამო. პრესკონფერენციაზე იგი ყოველნაირად ცდილობდა თავი აერიდებინა მეზვავე საკითხებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ ამერიკის შეერთებული შტატების კრიტიკასთან.

სამახსოვრო საჩუქარი

„ისკრის“ მუზეუმის საიუბილეო დამთავალიერებელს

ბერლინი. „კოსნიგისა და ბაუერის“ ფირმის მოქმედი ხაბეჭდი დაზგიდან ამოღებული ლენინური „ისკრის“ ციცხალი ანაბეჭდი, როგორც სამახსოვრო საჩუქარი, გადასცეს ხუთშაბათს, აილენბურგის ჰანს ბაიმლერის სახელობის სკოლის მოსწავლეს ს. აიზენკრეტცერს. მოსწავლე წლეულს აღმოჩნდა ლაიფციგის „ისკრის“ სახლ-მუზეუმის მესამათასე დამთვალიერებელი.

თავის თანაკლასელებთან ერთად იგი გაეცნო სტამბის ყოფილ შენობაში მოწყობილ ექსპოზიციას, სადაც 1900 წლის დეკემბერში აწყვეს გაზეთის პირველი ნომერი.

წლეულს სახლ-მუზეუმმა აღნიშნა თავისი არსებობის 30 წლისთავი. ამ ხნის მანძილზე იგი დაათვალიერა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მილიონზე მეტმა სტუმარმა. ქალიშვილები და ვაჟბიუკები აქ ეცნობიან ლენინის ცოცხალ სიტყვას, ძვირფას იმპულსებს იძენენ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორიის შესწავლისათვის.

● აშშ

აპრიტიკეზენ ანტიკაზაზურ პოლიტიკას

ვაშინგტონი. ამერიკის საზოგადოებრიობა სულ უფრო ძლიერ აკრიტიკებს რეიგანის ადმინისტრაციას იმის გამო, რომ მკვეთრად გაამკაცრა ანტიკაზური პოლიტიკა, რომელიც შეიცავს, კერძოდ, თავისუფლების კუნძულის წარმომადგენლებისათვის ქვეყანაში შესვლის ვიზების გაცემის აკრძალვას.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ ამასთან დაკავშირებით იხსენებს, რომ 1985 წლის 4 ოქტომბერს პრეზიდენტმა რეიგანმა ხელი მოაწერა პროკლამაციას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლას უკრძალავს „კუბის მთავრობის წარმომადგენლებსა და მოსამსახურეებს, კუბის კომუნისტური პარტიის წევრებს“. მას შემდეგ, აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტი“, ამერიკის ვიზებზე უარი უთხრეს კუბელ მათემატიკოსებს, პედიატრებს, ეკონომისტებს, ბანკის მოსამსახურეებს, ბეისბოლის მწვრთნელებს, კინომუშაკებს, ინჟინრებს, მუსიკოსებს, სპორტულ კომენტატორებსა და მანეკენ ქალებსაც ეკ, რომლებიც კუბურ მოდებს უჩვენებენ.

„სამწუხარო“ უწოდა ასეთ დისკრიმინაციულ პოლიტიკას ლათინური ამერიკის პრობლემების შემსწავლელი ასოციაციის პრეზიდენტმა კოულ ბლეზერმა.

ფოტოინფორმაცია

◆ ავღანეთი

აპრილ ი ს რევოლუციამ დასაბამი მისცა ძირეულ გარდაქმნებს ავღან ე თ ი ს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ხალხის სამსახურ ში ჩადგა ჯანმრთელობის დაცვის განვითარების სახელმწიფო პროგრამა. იგი ითვალისწინებს უფასო სამედიცინო მომსახურების გაფართოებას, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვას. ქვეყანაში მოქმედებს თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი ათობით პოლიკლინიკა, მათ შორის ქვეყნის შორეულ რაიონებში. ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დიდ დახმარებას უწევენ საბჭოთა ექიმები. ისინი არა მარტო თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ ავღანელ კოლეგებს, არამედ აქტიურადაც მონაწილეობენ რევოლუციური ავღანეთის მშრომელთა ჯანმრთელობისათვის ბრძოლაში.

სურათზე: ჯელალაბადის ერთ-ერთ პოლიკლინიკაში პაციენტებს იღებს კრასნოდარელი ექიმი ვ. შულდეტსკი.

საკრებულოს ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

◆ **პარიზი.** მეორე დღეა გრძელდება საფრანგეთის ფრანს პრესის საინფორმაციო სააგენტოს ჟურნალისტთა გაფიცვა. იგი გამოცხადდა ჟურნალისტთა პროფკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით ადმინისტრაციის იმ გეგმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელიც ითვალისწინებს 300-მდე სამუშაო ადგილის შემცირებას.

◆ **პანანა.** რევოლუციურ-დემოკრატიულმა ფრონტმა და ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ფრონტმა, რომლებიც დუარტეს მარიონეტული რეჟიმის და სალვადორში შეერთებული შტატების ჩარევის წინააღმდეგ იბრძვიან, დადეს სტრატეგიული კავშირი სამშობლოს სრული განთავისუფლების მიზნით.

◆ ანგოლა

უნიტას ახალი დანაშაული

ლუანდა. ახალი ხიხლიანი აქცია შეემატა იმ დანაშაულობათა გრძელ სიას, რომელიც ანგოლელი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინეს უნიტას ტერორისტული დაჯგუფების ბანდიტებმა. ისინი ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპეცსამსახურის დაქირავებულები არიან. როგორც ანგოლის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 5 დეკემბერს ბანდიტები თავს დაესხნენ უილას პროვინციის სოფელ მოკიმბას. მათ დახოცეს 8 მშვიდობიანი მცხოვრები, დაწვეს ექვსი გლეხის სახლი.

ტრაგედიის ადგილზე მისაფველებლად მისულმა ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა გაანადგურეს ბანდა, მოსპეს ოცდაათზე მეტი არამზადა და ხელთ იგდეს სამხრეთაფრიკული და დასავლური წარმოების დიდძალი იარაღი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმოამადგენლის განცხადება

შეერთებული შტატების გადაწყვეტილებას — საბოლოოდ განუდგეს მე-2 ხელშეკრულებას და პრაქტიკულად გადაამეტოს სტრატეგიული შეიარაღების ერთ-ერთ ძირითად შემზღუდველს, რომელიც ამ შეთანხმებით იყო დამკვიდრებული, ყველანი გმობენ როგორც აქციას, რომლის მიზანია მოშალოს გამალებული შეიარაღების შეკავების სახელშეკრულებო სტრუქტურა. ამავე დროს მრავალი ქვეყნის მთავრობებმა და მსოფლიო საზოგადოებრიობამ ღირსეულად დაუფასეს სიბრძნე და სიდარბაისლე საბჭოთა მთავრობას, რომელიც არ აპყვა ვაშინგტონის პროვოკაციულ ნაბიჯს და განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ გასცდება 1-ლი შეთანხმებისა და მე-2 ხელშეკრულების შეზღუდვების ფარგლებს.

ამერიკის ადმინისტრაციას კარგად ესმის, რომ მე-2 ხელშეკრულებაზე უარის თქმა სახელს უტეხს შეერთებულ შტატებს საერთაშორისო ასპარეზზე. ამიტომ, ვაშინგტონმა, როგორმე რომ გაემართლებინა თავი, სხვა ვერაფერი მოიგონა და კვლავ მიმართა ტლანქ, უტიფარ ცილისწამებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ მიზნით ამერიკის შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების სააგენტომ რამდენიმე დღის წინათ გამოუშვა სპეციალური პრეს-რელიზი, რომელშიც სცადა გაემართლებინა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შეთანხმებიდან გამოსვლის გადაწყვეტილება და საბაბად მოიშველია უნიადაგო მტკიცებები, ვითომდა საბჭოთა კავშირი არღვევდეს მე-2 ხელშეკრულებას.

ამერიკის პროპაგანდისტული დოკუმენტის ყოველგვარ დაუსაბუთებელი თეზისები მრავალგზის დამაჯერებლად უარუყვია საბჭოთა მხარეს. ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირს აბრალებს ხელშეკრულების აკრძალული მეორე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით იჩემებს „უფლებას“ „მექს“ რაკეტასთან ერთად შეიარაღდეს კიდევ ერთი „მიჯიტმენ“ სტრატეგიული რაკეტით, რომლის შემუშავების გადაწყვეტილებაც მიიღო კარგა ხნით ადრე, სანამ გაავრცელებდა მონაჩმახს ახალი საბჭოთა რაკეტის თაობაზე. ასეთივე უსაფუძვლოა ცდები სსრ კავშირს დააბრალონ მიტანის სტრატეგიულ საშუალებათა იმ დონის გადაჭარბება, რომელიც მე-2 ხელშეკრულების ხელმოწერისას დათქვეს. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების „შეშფოთებას“ რაკეტების გამოცდის დროს ტელემეტრიის დაშიფვრის შესახებ, უნებლიეთ გვხვდება თვალში, რომ ყოველთვის, როცა კი ამერიკის მხარისათვის შეუთავაზებიათ ამ „შეშფოთების“ გაქარვების კონსტრუქციული ვარიანტები, მას აურიდებია თავი განხილვისათვის.

დღეს უადრესად სერიოზული ყურადღება უნდა მივაპყროთ სამის კიდევ ერთ მხარეს, რომელიც არ შეიძლება არ იწვევდეს საყოველთაო შეშფოთებას. თითქმის ყოველდღიურად ვიგებთ ახალ-ახალ ფაქტებს, რომლებიც მოწმობს, რომ შეერთებულ შტატებს დეზინფორმაცია და ცილისწამება თავისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად იარაღად გაუხდია. ერთ ცოდა ვრენდაზე შეიარაღებული შეჭრა რომ გაემართლებინა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თითოდან გამოწოვა მონაჩმახი, თითქოს ამ კუნძულზე მყოფ ამერიკელ მოქალაქეთა სიცოცხლეს „საფრთხე“ ემუქრებოდა. ლიბიაზე ახალი საბომბო დარტყმისათვის ბაზის შესაქმნელად ამერიკის ადმინისტრაციამ პრესაში მოაზღვავა ყალბი ცნობები იმის შესახებ, ვითომდა ლიბია ტეროროსტულ აქტებს ამზადებდა. ახლა ასეთივე კამპანია გააჩაღეს სირიის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების ამგვარი მოქმედების სულ უკანასკნელი „ნიმუშია“ მოვლენა, რომელსაც „ირანჰეიტი“ ეწოდა და რომელმაც არნახული სკანდალი გამოიწვია თვით ამერიკაში და მის ფარგლებს გარეთ. ამ საქმის გარჩევის ყოველი დღე უცილობლად მოწმობს, რომ, ფარულად აწვდიდა რა იარაღს, მშვიდობისმოყვარული ფრაზეოლოგიით შენიღბული ვაშინგტონი წლების მანძილზე ნათს ასბამდა ირან-ერაყის სისხლიანი, უაზრო კონფლიქტის ცეცხლზე. ასეთი მოტყუების ობიექტი გახდა როგორც თვით შეერთებული შტატების მოსახლეობა, ისე მთელი საერთაშორისო გაერთიანება.

● ანკარა

ეკონომიკური ანალიზი

ანკარა. ანკარაში ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტმა ანალიზი გაუკეთა ბოლო ოცი წლის ეკონომიკურ ვითარებას. ანალიზის ავტორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეროვნული ეკონომიკა ბოლო ოცი წლის განმავლობაში ეტაპობრივ ავითარებდა ეროვნულ ბაზარს, ეროვნულ ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას, ეროვნულ ბაზარზე ორიენტირებულ ინდუსტრიულ ბაზისს, ეროვნულ ბაზარზე ორიენტირებულ ფინანსურ ბაზარს, ეროვნულ ბაზარზე ორიენტირებულ ფულადი ბაზრის ინსტიტუტებს, ეროვნულ ბაზარზე ორიენტირებულ ეროვნულ ფასიან ქაღალდებს, ეროვნულ ბაზარზე ორიენტირებულ ეროვნულ ბანკებს, ეროვნულ ბაზარზე ორიენტირებულ ეროვნულ ბიუჯეტს, ეროვნულ ბაზარზე ორიენტირებულ ეროვნულ ფულადი ერთეულ ლირას.

„ირანჰეიტი“ საზოგადოებრივი აზრი და დასავლეთი ევროპა

ლონდონი. ვაშინგტონში ამტყდარმა ხმაურიანმა პოლიტიკურმა სკანდალმა „ირანჰეიტმა“ ატლანტიკის ორივე მხარეს კოლოსალური ზიანი მიაყენა ნდობას ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, როგორც დასავლეთის სამყაროს ლიდერისადმი. ახეთი დასკვნა გამოაქვს ყოველკვირეულ „ეკონომისტს“, რომელმაც გააანალიზა ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მისი შეკვეთით მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები.

ამ მონაცემების თანახმად, ირანისათვის ამერიკის შეერთებული შტატების იარაღის საიდუმლო მიწოდებისა და მიღებული სახსრების ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერების მხარდაჭერისათვის გამოყენების გამოაშკარავებამ, როგორც მიაჩნიათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მცხოვრებთა 84 პროცენტს, ინგლისელთა 73 პროცენტს და ამერიკელთა 78 პროცენტს, საბოლოოდ გაუტეხა საჭელი ვაშინგტონს და შეარყია ნდობა მისი საგარეო პოლიტიკისადმი.

დასავლეთევროპელებს არ სწამთ ამერიკის ადმინისტრაციის უმაღლესი ხელმძღვანელების მტკიცებები, თითქოს მათ „არაფერი იცოდნენ“ ამ ბინძური ოპერაციის შესახებ. ინგლისელების 87 პროცენტი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მცხოვრებთა 86 პროცენტი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტმა რეიგანმა ყველაფერი ან, ყოველ შემთხვევაში, რაღაც მაინც იცოდა ირანისათვის ამერიკული იარაღის მიწოდების შესახებ. გამოკითხულების, მათ შორის გამოკითხული ამერიკელების, დიდი უმრავლესობა გმობს ადმინისტრაციის პოლიტიკას როგორც ირანის, ისე ნიკარაგუის წინააღმდეგ.

თეთრი სახლის ამაო ცდები

ფაქტის კომენტარი

რევოლუციური ნიკარაგუის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართა თხოვნით სასწრაფოდ მოიწვიონ უშიშროების საბჭოს სხდომა ჰონდურასთან რესპუბლიკის საზღვარზე დაძაბულობის საშიშ გამწვავებასთან დაკავშირებით. გასულ კვირას ნიკარაგუის სასაზღვრო დაბები ელ-მური და ვიალი მეკობრულად დაბომბეს თვითმფრინავებმა, რომლებიც ჰონდურასის ტერიტორიაზე მდებარე ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან აფრინდნენ. ამავე დროს პრეზიდენტ რ. რეიგანის სანქციით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების გიგანტურმა ვერტმფრინავებმა დაიწყეს ჰონდურასის ჩრდილოეთ ნაწილის ქვეგანაყოფების გადაყვანა ნიკარაგუის ჩრდილოეთ საზღვრისაკენ იმ მიზნით, რომ მათ მხარი დაუჭირონ კონტრრევოლუციონერთა შეიარაღებულ ბანდებს, რომლებიც დაიქანცნენ სანდინისტურ სახალხო არმიასთან ბრძოლისაგან. ამაოდ ცდილობს რა უხეშად გაამართლოს ცენტრალური ამერიკის სამშვიდობო ჩარევა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება გამოწვეულია „მისწრაფებით დაეხმაროს ჰონდურასს სანდინისტებისაგან თავის დაცვაში“.

ამასთან ისტორიაში ბევრია იმის მაგალითი, თუ რა შედეგებს მოჰყოლია ეგრეთ წოდებულ „ამერიკის უანგარო დახმარებას“, გავიხსენოთ დომინგოს რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია, სამარცხვინო ომი ვიეტნამში, „უდანაშაულო გრენადის“ დაპყრობა.

ამერიკისა და ჰონდურასის მხედრიონის პროვოკაციული აქციები კიდევ უფრო მეტად ამწვავებენ ვაშინგტონის მიზეზით ცენტრალურ ამერიკაში შექმნილ სამშიშ სიტუაციას. ნიკარაგუის მრავალტანჯულ მიწა-წყალზე იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი. ჩრდილოეთის რაიონებზე საჰაერო თავდასხმის შედეგად კვლავ დაიღუპნენ და დაეჭრნენ ადამიანები, მათ შორის ორი ბავშვი. სულ ნიკარაგუის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების გამოუცხადებელი ომის მსხვერპლი გახდა რუსეთელების დაახლოებით 30 ათასი მოქალაქე.

ამერიკის ადმინისტრაციას უჭირს ამ დღეებში. თეთრი სახლის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები თავს იცავენ იმათი მკაცრი კრიტიკისაგან, ვინც აღშფოთებულია ირანთან ვაშინგტონის უკანონო გარიგებით, რომლის შედეგადაც მოლებული მოგება ხმარდებოდა მკვლელობის თანამედროვე იარაღით კონტრრევოლუციონერთა აღჭურვას. პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, ამერიკის ადმინისტრაცია განზრახ ამწვავებს ჰონდურასისა და ნიკარაგუის საზღვარზე აფეთქებასაშიშ დაძაბულობას, რათა საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს ამ სკანდალს.

როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, ვაშინგტონი თავისი დანაშაულებრივი ზრახვების განხორციელებისათვის ათასობით ადამიანის სიცოცხლეს უმენის სპეკულირებს. ცენტრალურ ამერიკაში შეერთებული შტატების პოლიტიკის მთავარი მიზანია ჩახშოს სახალხო რევოლუცია, აღადგინოს რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების შერყეული იმპერიალისტური ბატონობა. სწორედ ამიტომ უნდა ისმინოს მსოფლიო საზოგადოებრიობამ ნიკარაგუის სამართლიანი ხმა, რომელიც მოითხოვს მისი თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების პატივისცემის უზრუნველყოფას.

პრესა ადასტურებს

აგრესიული გეგმები

ვაშინგტონი. შეერთებული შტატები ამზადებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებულთა შეიარაღებული ბანდების ფართო შეჭრას ნიკარაგუაში. როგორც გაზეთმა „მაიამი ჰერალდმა“ შეიტყო, დეკემბრის დამდეგს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჰონდურასში, სადაც სამხედროთა დაჯგუფებები არიან დაბანაკებული, ამ ქვეყნის მმართველ რეჟიმს ვაშინგტონის ადმინისტრაციის აგრესიული გეგმები გააცნო. მათი განხორციელება, აღნიშნავს გაზეთი, დაიწყო მაშინვე, როგორც კი კონგრესმა მოიწონა კონტრრევოლუციონერების დასახმარებლად 100 მილიონი დოლარის გამოყოფა და მათი ოპერაციებისადმი კონტროლი ოფიციალურად გადაეცა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს.

ნიკოლოზ ტიხონოვი

გომბორი (ფრაგმენტი)

როდი გახლავართ მოკვეთილი ანდა ხიზანი,
გადმოსვენილმა რომ ვიგემო შვება ასნილად,
მტკაველი მიწაც აქაური — უმალ ვიცანი,
თითქოს ვმობილვარ ამ მიწაზე და აქ გაზრდილვარ.
და მაინც, მაინც ცივ-ვომშორის გადასახუდთან,
ჩამავალმა მზემ ქვეყანა რომ მოავარაყა,
არ შეგონა თუ დამხვდებოდა, ჩემო კახეთო,
ასე ფერუსვად მოკაშკაშული შენი ბარაქა.
თითქოს საამო ჩანჩქერების მხეფებს მოვნებდი,
კვლავ ჩავიძირე ტკბილქართულის გრძნეულ წიაღში
და რუსულ-ქართულ სტრიქონების ლეგიონები
ხელჩართულ ჯიდილს მინათებდნენ სიტყვის ციაგით.
მაგრამ აქეს კია მოზღვავებულ ვნებას საზღვარი,
როცა შენს თვალწინ სასწაულად გადაიშალა,
ვით ზესკნელისკენ აზიდული ზღვა ბობოქარი,
ამ ულრან ტყეთა აზვირთება — აქარაშხლებ?
და სწორედ მაშინ შევიანენი, იმ წამს, იმ დილით,
რომ ეს გზა-შარა უნაყოფოდ არ გამიელია,
რომ შეზრდილი ვარ უკვე ამ ბეთებს და მათი ჩრდილი
უსხდაფეს მომდევს სვეტედნიერს, ნეტარიღლიანს.
და აი, ახლაც, მოგონება გროვდება, ვიგონებ
ვიგონებ წარსულს, ვეღარა ვძლებ აწ უამისოდ,
და ათასცხრაას ოცდაერთის ამობოქრება
ცოცხლდება თვალწინ და აწყდება ისევ მამისონს...

◆ ◆

ციცაბო ბილიკს — ნუ დაიზარებ —
ამყევ, მიადექ ლატვარის კარებს,
გასვედ თვალწინ გადაშლილ არეს, —
და ცხადში ნახავ უცხოს და უჩვევს
სვანეთის ზეცის ზღაპრულ სილურჯეს.
რაკი ლაგვარდი ნაპირს გადასცდა —
ჩემი გეკმული გულიც განაზდა.
ამ სილაკვარდის ანაბანასთან
თავქუდმოხდილი დადექ ანაზდად!

◆ ◆

მე საქართველო ვიცი ამგვარი
და გულში ვმალავ, როგორც თვალისჩინს:
ზეკეთი ხარხარებს ყანაყზე ამდგარი,
ჯიხვნი ტორავენ მინდვრის ხალიჩებს.
ალმასნყარონი ჰკრიან ნებივრად,
და ამ განცხრომის მეთალაყურენი —
შემცბარ პოეზის სტრიქონებივით
ბაქაუდნენ ყინვის საფეხურები.
კოშკები!.. მეირე ვახშმიც აქვე —
ქართველ მიწის კაცური ვალი...
საღამო ხანს კი მიეწევი თალქვეშ
**უნტარესი ხი

ორიოდ სიტყვით

□ **ქუთაისის** ელექტროტექნიკურ ქარხანაში აითვისეს ელექტროსატვირთველების ახალი სერიის გამოშვება. ხუთი ტონა ტვირთამწეობის სატვირთველი, რომლის წარმოების ტექნოლოგია კაღინინგრადის საპროექტო ინსტიტუტთან ერთად ხარკოვის საწარმოო გაერთიანება „პოტენციალისტმა“ და მისმა ქუთაისის ფილიალმა შეიმუშავეს, წინამორბედისაგან გამოირჩევა უკეთესი საექსპლოატაციო თვისებებით, შრომითი პროცესის სრული უსაფრთხოებით.

წელს ბოლომდე ქარხანა მომხმარებლებს სამოცდ ცალ ასეთ ელექტროსატვირთველს გაუგზავნის.

□ **როგორც** ჩვენმა მკითხველებმა იციან, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს ნინო ანანიაშვილს ამ დღეებში მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. ამ მოვლენას დაემთხვა ბალერინის გასტროლები მშობლიურ ქალაქში. 10 და 12 დეკემბერს ნ. ანანიაშვილმა მთავარი პარტიები შეასრულა სპექტაკლებში „გედის ტბა“ და „ჟიზელი“. მას პარტნიორობა გაუწია დიდი თეატრის ცნობილმა მოცეკვავემ ანდრეას ლიპამ.



სურათზე: სპექტაკლ „გედის ტბის“ სცენა.

ჯ. ლომაძის ფოტო.

□ **ქართველი** მკითხველისათვის ბაჩანას ანუ ნიკოლოზ რაზიკაშვილის (ვაჟა ფშაველას უმცროსი ძმის) სახელი ცნობილია, მაგრამ მის ლიტერატურულ შემოქმედებას არცთუ ისე კარგად იცნობენ.

11 დეკემბერს საინტერესო საღამო გაიმართა თბილისის ჟურნალისტთა სახლში. აქ თბილისის იღია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად მოეწყო ბაჩანას დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

□ **საქართველოს** ხელოვნების მუშაკთა სახლის ახალგაზრდა შემოქმედთა სექციამ გამართა საფორტეპიანო მუსიკის საღამო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის მინელი ჭუმბურიძის მონაწილეობით.

პიანისტმა შეასრულა ბეთჰოვენის 6 ვარიაცია ფა მაჟორი და №8 სონატა — პათეტური, რახმანინოვის ვარიაციები კორელის თემაზე, გ. პაატაშვილის სონატა №6 და პაგანინ-ლისტის ეტიუდი მი ბემოლ მაჟორი.

□ **ჟუთაისის** საზოგადოებრიობამ გუფობიდან აღნიშნა ცნობილი კინორეჟისორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის laureატის, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის რეზო ჩხეიძის დაბადების 60 წლისთავი.

□ **მშობლიური** მიწის ნიჭიერ მომღერლად წარმოუდგათ მხატვარი ნინო ფოფხაძე მისი პერსონალური გამოფენის დამთვალიერებლებს, რომელიც 11 დეკემბერს გაიხსნა თბილისის მხატვრის სახლის დარბაზებში. იგი მიეძღვნა ამ მრავალმხრივი ფერმწერის დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს. დაახლოებით 400 ნაწარმოები — პორტრეტები და პეიზაჟები, ნატურმორტები და წიგნის ილუსტრაციები, გრაფიკული სურათები და სამუშაო ჩანახატები — ეს მხოლოდ მისი ნამუშევრების ნაწილია.

გამოფენაზე ფართოდ გაჰფენილი წიგნის გრაფიკა.

□ **კარგი** საახალწლო საჩუქარი მიილეს გორგის, კინჩხის, ნოღლისა და წყეტკიძის რაიონის სხვა სოფლების მშრომელებმა. მდინარე ცხენისწყალზე აგაეს და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალი ხიდი, რომელმაც ეს სოფლები ქ. წყეტკიძესთან უმოკლესი გზით დააკავშირა.

ალო, აუქციონი!

დანიშნულ საათზე სტუდიაში შეიკრიბნენ რესპუბლიკის მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა ხელმძღვანელები, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის საწარმოო კომბინატებისა და ფაბრიკების წარმომადგენლები. ისინი მიიწვიეს, რათა მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს ტელევიზიის გადაცემის „აუქციონის“ პრემიერაში.

და აი, მწვანე ტრიბუნაზე ავიდა წამყვანი, მას ქათქათა პერანგზე საზეიმო შავი ბაფთა-ჰალსტუხი ეკეთა. გულარხეინი მოწვეულები შეშფოთდნენ, როცა მან წითელ გონგს დაჰკრა და „აუქციონის“ პირობები გამოაცხადა: **„იგებს ის, ვინც ნაკლებ ფასს შემოგთავაზებს“.** მუსიკამ დაიგრიალა. სცენის თეთრ წრეში გამოვიდა ეშხიანი ქალიშვილი, მას ეცვა უცნაური ლაბადა, რომლის ერთი სახელო გრძელი იყო, მეორე — მოკლე.

წამყვანმა დაასახელა ნაწარმის ოფიციალური ღირებულება — 150 მანეთი, დამამზადებელი საწარმო, ბოლოს კი აუღელვებლად იკითხა: „ვინ იძლევა ნაკლებს?“. დარბაზში შეშფოთებით აჩოჩქოლდნენ, მაგრამ ესოდენ მდარე ხარისხის ნაწარმის შეფასების მსურველი არავინ აღმოჩნდა. ტელეკამერამ მოიარა მოწვეულთა სახეები — პირდაპირი ეთერი იყო, — ბოლოს იპოვა ამ „საოცარი ლაბადის“ შემკერავი ფაბრიკის დირექტორი. და თუმცა იგი კატეგორიულად უარს ამბობდა განემარტა თავისი „ძალაუნებური მოგება“, ეს უკვე ვეღარ მოახდენდა გავლენას შემდგომ მოვლენათა მსვლელობაზე.

ქართველი ტელემაყურებლებისათვის იმ სამახსოვრო ზაფხულის საღამოს „აუქციონის“ (ავტორები — მინდია თავაძე და ზაურ ფიფია, რეჟისორები — ელდარ ორჯონიკიძე და გივი ტალიკაძე) კრიტიკულ ქარცეცხლში აღმოჩნდა წუნის ოცდახუთზე მეტი კონკრეტული ადრესატი. თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებმაც იკისრეს დახმარებოდნენ ტელეჟურნალისტებს, საშორველი გონებამახვილობით უჩვენებდნენ მრავალფეროვან წუნიან ნაწარმს.

— „აუქციონის“ პრემიერას ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა, — ამბობს ზაურ ფიფია, რომელიც გადაცემის რედაქტორიც არის, — ბევრი მიიზიდა ტელეშოუს უჩვეულო ფორმამ, სადაც ბუფონადურმა სანახაობითობამ და სცენარით გათვალისწინებულმა „ფსიქოლგიურმა პროვოკაციებმა“ ხელი შეუწყო იმას, რომ ეშხილებინათ რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. მისი სარგებლიანობა კიდევ უფრო წარმოჩნდა, გადაცემის ბოლოსიტყვაობაში, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ „ალო, აუქციონი!“. ჩვენ გვნდოდა ხაზი გაგვესვა, რომ საჭიროა არა მარტო დასაჯონ — თანამდებობიდან გადააყენონ ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის წუნში, არამედ შეგვეძლოს გავერკვეთ ყოველი კონკრეტული სიტუაციის თავისებურებებში, ერთად ვებრძოლოთ შრომისადმი გულგრილ, არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას...

დიახ, „აუქციონი“ იწამეს. მას ყური მიუგდეს. რესპუბლიკის მრავალ საწარმოში საკუთარი ხარისხის დაფაც კი გაჩნდა, რომელსაც ისევე უწოდეს, როგორც ტელეგადაცემას ჰქვია, — „აუქციონი“. ზაურ ფიფია გვაცნობს სარედაქციო ფოსტას. აქ არის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც გვაცნობენ „აუქციონის“ მიერ აღმოჩენილი შეცდომების აღმოფხვრის ღონისძიებათა გეგმებს, ტელემაყურებლების მიერ გამოგზავნილი ბანდეროლებიც, ამანათებიც, რომლებშიც მომავალი პროგრამების ესკიზონტებია. ხელში ვიღებ ანგარკის საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხნის მიერ გამოშვებული „ლოტოსის“ უჩვეულოდ მსუბუქ შეკვრას, რომელიც თბილისშია ნაყიდი. ყოველ კოლოფში ერთი შუაფხვნილი იქნება... რა თქმა უნდა, ძნელი მოსახერხებელია, თბილისში „აუქციონზე“ გამოიძახო ისინი, ვისაც ბრალი უდევს ამ საწარმოო კაზუსში — არც ისე ახლოა ანგარკი! ისე კი, კარგი იქნებოდა მოგვესმინა წუნისმკეთებლებისათვის.

გაზეთის ამ ნომერს რომ გკრავდით, თბილისში დავრეკეთ.

— ამ დღეებში კიდევ ერთ „აუქციონი“ გადავეცით, — [illegible] თბილ ზაურ ფიფიამ. — დარწმუნდა, რომ ვერ ნახეთ. მაგრამ ახალი წლიდან ვაპირებთ მოვამზადოთ პროგრამა საკავშირო ჩვენებისათვის.

ვერაფერს იტყვი, მიმზიდველია საკავშირო „აუქციონის“ შექმნის იდეა. ტელევიზიას სავსებით შესწევს ძალა, რომ სახალხო მეურნეობას დაეხმაროს „საკარო ვაჭრობით გაყიდოს“ ყველაფერი, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში, ამუხრუჭებს დაჩქარებას. და, ვინ იცის, იქნებ ოდესმე „აუქციონი“ შეცვალოს „არენამ“, სადაც ალე-პარაღში მონაწილეობის უფლებისათვის იბრძოლებენ ღირსეული ამხანაგები, რომლებმაც სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიიღეს.

მ. ტარასოვა.

„იზვესტია“, 1986 წ. 13-XII.

ლადო დონაძე

ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მუსიკათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის [illegible]რი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ვლადიმერ (ლადო) გრიგოლის ძე **დონაძე.** ვლადიმერ დონაძე დაიბადა 1905 წელს ქ. ოზურგეთში. 1934 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტი, შემდეგ კი ლენინგრადის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურა. საქართველოში დაბრუნებისთანავე თბილისის კონსერვატორიაში სათავეში ჩაუდგა მის მიერვე დაარსებულ მუსიკის ისტორიის კათედრას. 1934 წლიდან საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი გახლდათ, ხელმძღვანელობდა მუსიკათმცოდნეობის სექციას, იყო სსრკ კომპოზიტორთა კავშირის მუსიკალური კრიტიკის საკავშირო ბიუროს წევრი, საქართველოს კომპოზიტორთა პირველი ყრილობიდან გარდაცვალებამდე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი.

დიდია ლადო დონაძის ამაგი ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის წიხაზე—იგი უშუალო მონაწილე იყო იმ დიდმნიშვნელოვანი პროცესებისა, რომლებიც განვლო ქართულმა საბჭოურმა მუსიკალურმა ხელოვნებამ მისი ფორმირებისა და განვითარების გზაზე.

ჯერ კიდევ, ასპირანტურის წლებში შექმნა ლადო დონაძემ ფუნდამენტური შრომა შუბერტის სიმფონიზმზე, რომელშიც მასშტაბურად, ელვარე ნიჭიერებით იყო წამოყენებული კლასიკური სიმფონიზმის გაშუქებაში ახალი კონცეფციები და დებულებები. ლ. დონაძის ფუნდამენტურ შრომათა შორის აღსანიშნავია წიგნი ზაქარია ფალიაშვილზე. ამ წიგნს წინ უძღოდა ავტორის მრავალწლიანი, თანამიმდევრული კვლევითი მუშაობა ქართული კლასიკური პროფესიული მუსიკის საკითხებზე. ლ. დონაძეს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი მონოგრაფიული შრომები, ნარკვევები, სტატიები კლასიკური და საბჭოური პერიოდის ქართველ კომპოზიტორებზე. მრავალი შრომა მიუძღვნა მან რუსულ და დასავლეთევროპულ კლასიკურ მუსიკას.

ფასდაუდებელია ლადო დონაძის ამაგი ქართული მუსიკათმცოდნეობის განვითარების საქმეში. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ მისი თაოსნობით დაარსებულ მუსიკის ისტორიის კათედრაზე დაუწესა ქართული მუსიკის ისტორიის საგნის სწავლება და სიცოცხლის ბოლომდე კითხულობდა მის კურსს. მისი აღზრდილები მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ეწევიან პედაგოგიურ, სამეცნიერო-კვლევითსა თუ პუბლიცისტურ-კრიტიკულ მოღვაწეობას.

მაღალი მოქალაქეობრივობა, უაღრესი პატიოსნება და ზნეობრივი უკომპრომისობა თან სდევდა ლადო დონაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას და ამ თვისებებით განსაკუთრებული პატივისცემა და ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი.

ამაგდარი მოღვაწის, დიდებული მოქალაქისა და პატრიოტის, კეთილშობილი პიროვნების ლადო დონაძის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული საბჭოური მუსიკალური კულტურის ისტორიაში, მის თანამედროვეთა ხსოვნაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მუსიკათმცოდნე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ვლადიმერ გრიგოლის ძე დონაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მთაწმინდა

პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

მთაწმინდა! უკვდავთა ეს სამარადისო სამყოფელი, საქართველოს ერთ-ერთი საოცრებაა „თავისი ბუნებითა და გონებით“. ეს საოცრება პირველად სილამაზის გაუხუნარმა მუზამ ნინო ჭავჭავაძემ „აღმოაჩინა“.

1828 წლის 22 აგვისტოს სიონში გრიბოედოვს ჯვარი დასწერეს 16 წლის ნინო ჭავჭავაძეზე, რომელმაც შეიყვარა მაღალი სულისა და მღელვარე გულის მქონე ბრძენი კაცი. მაგრამ საბედისწერო აღმოჩნდა ეს ჯვარისწერა. ხუთი თვის შემდეგ, 1829 წლის 30 იანვარს თეირანში ტრაგიკულად დაიღუპა გრიბოედოვი. როცა იგი თეირანიდან თბილისს ჩამოასვენეს, მთაწმინდაზე სგანგებოდ მომზადებულ მღვიმეში დაკრძალეს, როშლის ფრონტონზეც წაწერეს: „აქ დაკრძალულია გრიბოედოვის ნეშტი“. მერმე სფლავზე დაადგეს მარმარილოს ძეგლი ბრინჯაოს ჯვრით და მტირალი ქალის ფიგურით. კვარცხლბეკის წინა მხარეზე მწერლის ბარელიეფია, მის ქვეშ ოქროს ასოებით ამოკვეთილია: „ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვი, მოკლულია თეირანში 1829 წლის იანვრის 30-სა დღესა“. სამხრეთით ამოტვიფრულია: **«Ум и дела твои бессмертны в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя».** სამარხის ზემოთ ქვაზე აწერია: „აქ ჭდებარეობს გუამი გრიბოედოვისა, აღუშენა ძეგლი ესე მეუღლემან ნინა თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულმა წელსა 1832“. აბა დაკვირდით ამ ეპიტაფიის სიტყვებს — ეს სიტყვები გრიბოედოვის ქვრივს — ოცი წლის ნინო ჭავჭავაძეს ეკუთვნის. ამ სიტყვებს თავისი სული თან გაატანა და მით აღანთო ხალხთა ძმობის ლამპარი; ნინომ პირველმა მისცა ალექსანდრე გრიბოედოვის ნიჭსა და სამშეს უმაღლესი შეფასება და ლიტერატურის ისტორიამ გაიზიარა ეს შეფასება.

1847 წელს გარდაიცვალა სამი ულამაზესი ასულის — ნინოს, ეკატერინეს, სოფიოს და ეროსის. ამ ცვლა მეომრის დავით ჭავჭავაძის დედა, ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე, გრიგოლ ორბელიანის ბრწყინვალე ლექსის — „მუზამბაზის“ აღრესატი სალომე. ნინოსა და ეკატერინეს მოთხოვნით სალომე ორბელიანი მთაწმინდაზე — მამადავითის ეკლესიაში დამარხეს. დავით დადიანმა საფლავს მარმარილოს ფილაზე დაადო წარწერით: „ბარად დაუვწყარ სიდედრისა სამარეს დავადევი ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა“. ათი წლის შემდეგ, 1857 წელს კი 45 წლისა ქოლერით გარდაიცვალა თბილისის ეში და ამ სილამაზე — თვით ნინო ჭავჭავაძე. სამეგრელოს დედოფალმა, უმცროსმა დამ ეკატერინე ჭავჭავაძემ — „წინანდლის ვარდმა“ — ნინოც გრიბოედოვის გვერდით მიაბარა მთაწმინდას. მთაწმინდას მიბარებული ეს სამება — გრიბოედოვი, სალომე და ნინო — კერძო სუბვილი — ოჯახური გადაწყვეტილება იყო. მაგრამ როგორც ძველ სბერძნეთში ფოკიდის მხარეში პარნასის მთა გაპოცხადდა მუზების ღმერთის სამყოფელად, ასე თბილისში, მთაწმინდას ჭავჭავაძეებმა დაანათლეს ყოფილიყო ქართული მუზების ადგილსამყოფელი... მერე ის იყო, რომ 1887 წელს საქართველომ მთაწმინდას საქართველოს სინდისი — დიმიტრი ყიფიანი მიაბარა. გავიდა ხანი და ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულმა სიკვდილმა ფეხზე დააყენა მთელი ხალხი. ილიას დაკრძალვა ეროვნული გლოვის დღედ იქცა. სასოებით მიაბარეს ერის ბამა და დიდება მთაწმინდას. ეს მოხდა 1907 წელს. 1915 წელს ილიას გვერდით მთაწმინდასვე მიაბარეს ილიას დიდი თანამებრძოლი და ერთიანი საქართველოს მებაირახტრე — დიდი აკაკი. იმ წელსვე გამოეცალა ხელიდან საქართველოს ვაჟა-ფშაველაც. იგი დიდუბეში დაკრძალეს. ამ გარემოებით გულნატკენი ტიციან ტაბიძე 1916 წელს ჟურნალში „ცისფერი ყანწები“ წერდა: „მთაწმინდა არავის ისე არ შეფერის, როგორც პოეზიის მთას ვაჟა-ფშაველას“... აღსრულდა, 1935 წელს საბჭოთა საქართველომ ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, პაოლო იაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, პავლე ინგოროყვას თაოსნობით მთაწმინდას მიაბარა ქართული პოეზიის მთა — ვაჟა-ფშაველა, 1938 წელს კი მთაწმინდაზე გადაასვენეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი. ამის შემდეგ პირველი პოეტი, რომელიც მთაწმინდას მიაბარეს, იყო გალაკტიონი!.

მთაწმინდის მიწას აბარია დავით კლდიაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ვასილ ბარნოვი, დავით ერისთავი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელისა, ზაქარია ჭიჭინაძე, გიორგი ლეონიძე, იაკობ ნიკოლაძე, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, ლეო ქიაჩელი, ივანე ფალიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ლადო გუდიაშვილი, ვასო აბაშიძე, კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ხორავა, სერგო ზაქარიაძე, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, ნიკო მუსხელიშვილი, ილია ეკეკა, ალექსანდრე ცაგარელი, მოსე ჯანაშვილი, სილიბისტრო თოდრია, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და ე. გელაძე-ჯუღაშვილისა (სტალინის დედა)...

თბილისის ამ წმინდა მთამ არა მარტო მიიბარა საქართველოს უკვდავი შვილები, არამედ მისი შთაგონებითვე შეიქმნა ქართული პოეზიის სამი შედევრი: ნ. ბარათაშვილის — „შემოღამება მთაწმინდაზე“, აკაკის — „განთიადი“ და გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარე“.

მთაწმინდა პოეზიის მწვერვალად აღმართული საქართველოს ჩაუქრობელი სულია — უკვდავი სულების მარადიული სავანე.

მთაწმინდა ფიქრია საქართველოსი, უკვდავი სახელები კვლავ ეხმიანებიან ახალ თაობას, შთაგონებენ ქვეყნისათვის თავდადებას. კეთილი თვალით დაჰყურებს თბილისს მთაწმინდა და გრძელდება გზადგასფენილი სიცოცხლე.

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!..
სიმღერები ხალისის და ბრძოლისა.
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

სერგი ჭილაია.

ავტორის მინაწერი: 1920 წელს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებით დაწესდა პოეზიის ტრადიციული დღე და გამოვიდა ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე“. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მოეწყო პოეტებისა და მწერლების მანიფესტაცია. 1921 წელს, 7 მაისს „პოეზიის დღეში“ ტიციან ტაბიძე წერდა: „პოეზია საქართველოში იმოავითვე ერთად ერთი ამტკიცებდა საქართველოს ყოფას... საქართველოს შეიძლება მეორე სახელად რუსთაველი დავერქვას“. „პოეზიის ტრადიციული დღე და ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე“ 1930 წელს შეწყდა. იგი ოცდაათი წლის შემდეგ, 1960 წელს განახლდა, ხოლო 1966 წელს — რუსთაველის 800 წლის საყოველთაო საიუბილეო დღეს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: „რუსთაველის დღე — პოეზიის დღე მოეწყოს ყოველწლიურად ოქტომბერში; იგი დაიწყოს მესხეთში — სოფელ რუსთავში“...

წელს ვარძიის 800 წლისთავი იდღესასწაულა მთელმა საქართველომ და დაწესდა „ვარძიობა“. ეგებ ამიერიდან „ვარძიობას“ დაუკავშირდეს რუსთაველისა და თამარის დღე — პოეზიის დღე. ხოლო წლევანდელ თბილისობას საოცარი სილამაზე მიანიჭა მთაწმინდაზე გამართულმა „პოეზიის დღემ“. ღვთიური ხმები ექოდ მოედო მოზეიმე დედაქალაქს, მთლად საქართველოს. და, ყოველწლიურად თბილისობა დღე ზარების რეკვად გაისმოდეს მთაწმინდიდან: „პოეზია — უპირველეს ყოვლისა!“...

ეტიუდისტის ახალი წიგნი

გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ კეთხველებს შესთავაზა გამოჩენილი საკავშირო კომპოზიტორის, დიდოსტატ გია ნადარეიშვილის წიგნი „სილამაზის ძიებაში“ (რუსულ ენაზე) მსოფლიო ექსჩემპიონის მიხეილ ბოტვინიკის წინასიტყვაობით.

წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „გ. ნადარეიშვილი ფანტეიოსია, ფანტაზმი კი, ექვგარეშეა, ხელოვანს ხელოსნისაგან განასხვავებს, იცავს მას პრაქტიციზმის გავლენისაგან, რომელიც ნაადრევად აქვეითებს შრომისუნარიანობას და ამოკლებს შემოქმედებით ცხოვრებას.

...ჭადრაკის ოსტატის ერთ-ერთი მთავარი (თუ უმთავრესი არა) თვისებაა ვარიანტების ზუსტად გამოთვლის უნარი. იმ ახალგაზრდა მოჭადრაკეებისთვის, რომლებიც ამ თვალსაზრისით არცთუ ისე საიმედოდ გრძნობენ თავს, სასარგებლოა ეტიუდების ამოხსნა, ამიტომ წინამდებარე კრებული მათთვის ძვირფასი სასწავლო წიგნია“.

საყურადღებოა მიხეილ ბოტვინიკის შემდეგი სიტყვებიც: „ოც წელზე მეტია ვმეგობრობ მშვენიერ ადამიანთან გია ნადარეიშვილთან, რომელმაც საეტიუდო ხელოვნების სფეროში უდიდეს სიმაღლეებს მიაღწია. მან შექმნა ქართული სკოლა საჭადრაკო ეტიუდისა, რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს“.

წიგნის ძირითად ნაწილს კომპოზიტორის რჩეული ეტიუდები შეადგენენ: მათი უმეტესობა აქამდეც იყო ცნობილი, „ბეჭდებოდა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის საჭადრაკო (და არა მარტო საჭადრაკო) პრესაში. ამ ეტიუდებმა ავტორს მრავალი პირველი პრიზი და დიდი ალიარება მოუპოვა სხვადასხვა საერთაშორისო და საკავშირო კონკურსში, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ამ „ძველი ნაცნობების“ ხელახლა ნახვასთან ერთად საჭადრაკო კომპოზიციის მოყვარულთ ერთი სიურპრიზიც მოელით. სამწე ის არის, რომ ბოლო ხანს განთქმულმა ეტიუდისტმა შემოქმედებით ძალების დიდი მოზღვავება იგრძნო და, შეიძლება ითქვას, განუწყვეტლივ მუშაობდა. მან თავისი ახალი ნაწარმოებები გაუგზავნა მრავალ საჭადრაკო გამოცემას, ჟურნალ-გაზეთებს როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე უცხოეთში. ამრიგად, ავტორი ელის არაერთი ფრიად ავტორიტეტული ჟიურის გადაწყვეტილებას. ჩვენ კი წინასწარ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს ახალი ეტიუდები, რომლებსაც ჩვენი მკითხველები ავტორისეული კომენტარებით პირველად გაეცნობიან, ჩვენს გამოჩენილ კომპოზიტორს ახალ აღიარებას მოუტანს.

წიგნი ჩინებულად არის გამოცემული, ახლავს მრავალრიცხოვანი ფოტომასალა და უდავოდ კარგი საჩუქარია ჭადრაკის მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებისათვის.

გ. გამრეკელი.

ქართული მუსიკა: თანამეგობრობის ჰორიზონტები

ლენინგრადელ კომპოზიტორთა მუსიკის დღეები ნათელ მოვლენად იქცა თბილისის კულტურულ ცხოვრებაში.

ახლახან ჩვენი ქალაქი ამერიკაკვასიის რესპუბლიკების ახალგაზრდა კომპოზიტორთა მუსიკალური დედაქალაქი გახდა. კამერული მუსიკის მეექვსე ფესტივალი პრაქტიკული ნაბიჯი იყო სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების გზაზე, რომელმაც დასახა მრავალეროვნული საბჭოთა მუსიკის შემდგომი განვითარებაა-ყვავების გზები.

მდიდარი და ნაირფეროვანია ფორმითა და შინაარსით ეს მუსიკალური შეხვედრები, საბჭოთა მუსიკის თავისებური „მეღერი ანთოლოგიები“. ერთობლივი ფესტივალები, კონკურსები, სიმღერის ღიღეს ახალი ხიდი, რომელმაც ეს სოფლები ქ. წყეტკიძესთან უმოკლესი გზით დააკავშირა.

უჭკნობი შემოქმედებითი სიახალგაზრდავით გაახარა თბილისელი მაყურებელი სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ტიხონ ხრენიკოვმა. თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გამართულ მის საავტორო კონცერტზე აქღერდა გასული წლების ნაწარმოებები, აგრეთვე ოსტატის ახალი ქმნილებები.

გაფართოვდა ქართული მუსიკის საკავშირო აუდიტორია. მისი მარშრუტები მთელ ქვეყანაში გადის. დიდი წარმატება ხვდათ წილად ქართველ კომპოზიტორებს მოსკოვში, სადაც მსმენელთა სამსკავროზე წარდგენილი იყო ა. ბალანჩივაძის, ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის, ს. ცინცაძის, ბ. კვერნაძის, ბ. დავითაშვილის ნაწარმოებები. მაყურებლის მაღალი შეფასება დაიმსახურა ს. ნასიძის „კონცერტმა ვიოლინოსა და ვიოლონჩელოსათვის“.

ალმა-ათის საყონცერტო დარბაზის თაღებქვეშ აკღერდა ა. ბალანჩივაძის კამერული სიმფონია, ს. ცინცაძის მეათე სიმებიანი კვარტეტი, ს. ნასიძის სიმფონია „დალაი“, გ. სიხარულიძის ვოკალური ციკლი. ლენინგრადელი მსმენელი ცხოველი ინტერესით შეხვდა ო. თაქთაქიშვილის ციკლს „ლირიკული სიმღერები“ მოსკოვის კამერული გუნდის შესრულებით, რომელსაც რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვ. მინინი დირიჟორობდა. ნევიანპირა ქალაქში არაერთხელ აღღერებულა ანდრია ბალანჩივაძის მუსიკა. ახლახან ლენინგრადში წარმატებით გაიმართა ახალგაზრდა კომპოზიტორის იოსებ ბარდანაშვილის საავტორო კონცერტი.

— მხატვრული მიღწევების სუფლერ ღირებულებათა გაცვლა მომე რესპუბლიკებს შორის ჩვენი მხატვრული ცხოვრების ნორმაა. ეს პროცესი განსაზღვრა თვით საბჭოთა მუსიკის ხასიათმა, რომელიც შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული და სულისკვეთებით ინტერნაციონალურია, — თქვა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, რუსეთის სახალხო არტისტმა ს. ცინცაძემ, — დიდი და კეთილშობილურია საბჭოთა კომპოზიტორების მისია, რომლის შესახებაც ლაპარაკი იყო სკკპ XXVII ყრილობაზე. გაფაძლიერთ ხელოვნების გავლენა საზოგადოების ცხოვრებაზე, გავზარდთ კულტურის ოსტატთა პასუხისმგებლობა ხელოვნების იდეური მიმართულების, მისი ზემოქმედების მხატვრული ძალისათვის — აი ჩვენი მოღვაწეობის ძირითადი პარამეტრები. (სპეცინფორმი).

ლადო დონაძე

ვითი მუშაობა ქართული კლასიკური პროფესიული მუსიკის საკითხებზე. ლ. დონაძეს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი მონოგრაფიული შრომები, ნარკვევები, სტატიები კლასიკური და საბჭოური პერიოდის ქართველ კომპოზიტორებზე. მრავალი შრომა მიუძღვნა მან რუსულ და დასავლეთევროპულ კლასიკურ მუსიკას.

ფასდაუდებელია ლადო დონაძის ამაგი ქართული მუსიკათმცოდნეობის განვითარების საქმეში. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ მისი თაოსნობით დაარსებულ მუსიკის ისტორიის კათედრაზე დაუწესა ქართული მუსიკის ისტორიის საგნის სწავლება და სიცოცხლის ბოლომდე კითხულობდა მის კურსს. მისი აღზრდილები მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ეწევიან პედაგოგიურ, სამეცნიერო-კვლევითსა თუ პუბლიცისტურ-კრიტიკულ მოღვაწეობას.

მაღალი მოქალაქეობრივობა, უაღრესი პატიოსნება და ზნეობრივი უკომპრომისობა თან სდევდა ლადო დონაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას და ამ თვისებებით განსაკუთრებული პატივისცემა და ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი.

ამაგდარი მოღვაწის, დიდებული მოქალაქისა და პატრიოტის, კეთილშობილი პიროვნების ლადო დონაძის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული საბჭოური მუსიკალური კულტურის ისტორიაში, მის თანამედროვეთა ხსოვნაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მუსიკათმცოდნე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ვლადიმერ გრიგოლის ძე დონაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲐᲠᲘᲝᲜᲘ

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების მეოცე საუნებლეო ტრადიციული საერთაშორ